საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1892 2015 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი

„აგროდაზღვევის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №306 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „აგროდაზღვევის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №306 განკარგულებით დამტკიცებულ „აგროდაზღვევის“ პროგრამაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პროგრამის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დამზღვევი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, საიდანაც პროგრამის ფარგლებში, დაზღვევას ექვემდებარება არა უმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში, არა უმეტეს 15 ჰა) სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი და გაფორმებული აქვს დაზღვევის ხელშეკრულება;";

ბ) პროგრამის მე-2 მუხლის „ნ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) დაზღვეული ტერიტორია (ნაკვეთი) - მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია დაზღვევის ობიექტი, რომლის მონაცემები (საკადასტრო კოდი, ან/და GPS კოორდინატი, ან/და აზომვითი ნახაზი), - ადგილმდებარეობის მისამართი და ფართობი მითითებულია სადაზღვევო პოლისში, დამზღვევის მიერ წარდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლის ინფორმაციულ უტყუარობაზეც სრულად პასუხისმგებელია დამზღვევი, გარდა GPS კოორდინატის მონაცემებისა, რომლის მიწოდებაზეც პასუხისმგებელია მზღვეველი. ამასთან, პროგრამის ფარგლებში, არ დაიზღვევა ისეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის ჯამი აღემატება 5 ჰა-ს(ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში კი 15 ჰა-ს). პროგრამით გათვალისწინებული მიწის ფართობის ოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე;";

გ) პროგრამის დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

№1

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი # 1

სასოფლო-სამეურნეო კულტურა	სააგენტოს თანამონაწილეობა	დამზღვევის თანამონაწილეობა	ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფი	ნორმატიული ფასი ლარი/ჰა.		ნორმატიული ფასი ლარი/კგ.
მარცვლეული კულტურები						
ხორბალი	70%	30%	6.5%	1,500		0.5
ქერი				1,320		0.6
სიმინდი				2,250		0.5
პარკოსანი კულტურები						
ლობიო	70%	30%	6.5%	3,400		2
მზესუმზირა				2,300		1
სოიო				2,500		1
ბოსტნეული კულტურები						
ბადრიჯანი	70%	30%	8.5%	15,000		0.5
წიწაკა				15,000		0.5
კომბოსტო				11,400		0.3
პომიდორი				12,000		0.4
კიტრი				13,500		0.5
კარტოფილი				15,000		0.6
ხახვი				12,500		0.5
ნიორი				14,400		1.8
სტაფილო				16,250		0.65
ჭარხალი				15,000		0.5

ბაღჩეული კულტურები						
საზამთრო	70%	30%	10.5%	10,000		0.25
ნესვი				10,000		0.4
ვაზი	50%	50%	8.5%	12,000		1.2
ხეხილი						
ვაშლი	70%	30%	8.5%	20,000		0.8
მსხალი				16,000		0.8
კომში				16,000		0.8
ბალი, ალუბალი				24,000		1.5
ატამი				13,800		0.6
გარგარი				22,500		1.5
ქლიავი				14,400		0.9

კენკროვანი კულტურები						
მარწყვი	70%	30%	10.5%	12,600		1.4
ჟოლო				15,000		2.5
მოცხარი				15,200		1.9
მოცვი				28,000		3.5
კაკლოვანი კულტურები						
თხილი	70%	30%	6.5%	6,600		3
კაკალი				18,000		4
სუბტროპიკული კულტურები						
კივი	70%	30%	10.5%	18,000		1
სუბტროპიკული ხურმა, კარალიოკი				12,000		0.6

ფეიხოა				12,000		1.5
ციტრუსი						
მანდარინი	70%	30%	8.5%	10,000		0.5
ლიმონი				14,450		0.85